ESRS S3

ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები

შინაარსი

მიზანი

ურთიერთქმედება სხვა ESRS-ებთან

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

- ESRS 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“

  სტრატეგია

  - ESRS 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ _ დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა
  - ESRS 2-ის SBM-3 ნაწილთან „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

  ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

  - ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-1 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული პოლიტიკები“
  - ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-2 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედების პროცესები ზემოქმედებასთან დაკავშირებით“
  - ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება“
  - ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-4 – „ზომების მიღება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე ამ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

  მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

  - ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-5 – „არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართ-ვასთან, დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესებასა და არსებითი რისკებისა და შესაძ-ლებლობების მართვასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

დანართი ა : გამოყენების მოთხოვნები

- მიზანი
- ESRS 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“

  სტრატეგია

  - ESRS 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა
  - ESRS 2-ის SBM-3 ნაწილთან – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-1 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული პოლიტიკები“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-2 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედების პროცესები ზემოქმედებასთან დაკავშირებით“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-4 – „ზომების მიღება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე ამ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-5 – „არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართვასთან, დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესებასა და არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, დაადგინოს მოთხოვნები ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, რომელიც *მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებლებს* საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან *ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე* განხორციელებული არსებითი ზემოქმედების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვთან, მათ შორის, რომელიც ხორციელდება მისი პროდუქტების ან მომსახურების და *საქმიანი ურთიერთობების* მეშვეობით, ასევე მათთან დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების თაობაზე, როგორიც არის, მაგალითად:

   ა) როგორ ზემოქმედებს საწარმო საზოგადოებრივ ჯგუფებზე, არსებითი დადებითი და უარყოფითი, ფაქტობრივი ან პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით ისეთ სფეროებში, სადაც ყველაზე დიდი ალბათობით არის მოსალოდნელი, რომ ზემოქმედება იარსებებს და ეს ზემოქმედება სერიოზული იქნება;

   ბ) ნებისმიერი განხორციელებული *ქმედება* და მისი შედეგები, რომელიც მიმართული იყო ფაქტობრივი ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციაზე, შერბილებაზე ან რემედიაციაზე, ასევე რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე;

   გ) *ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე* საწარმოს ზემოქმედებასა და *დამოკიდებულებასთან* დაკავშირებული საწარმოს არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების ხასიათი, ტიპი და მასშტაბი, ასევე როგორ მართავს საწარმო ამგვარ რისკებსა და შესაძლებლობებს; და

   დ) ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე საწარმოს ზემოქმედებისა და დამოკიდებულების შედეგად წარმოქმნილი არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების *ფინანსური გავლენა* საწარმოზე მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში.

2. ამ მიზნის მისაღწევად, წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს საერთო მიდგომის ახსნას, რომელსაც საწარმო იყენებს *ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე* ნებისმიერი ისეთი არსებითი ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედების გამოვლენისა და მართვისთვის, რომელიც დაკავშირებულია:

ა) საზოგადოებრივი ჯგუფების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან (მაგალითად, ადეკვატური საცხოვრისი, ადეკვატური კვება, წყალი და სანიტარია, მიწასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედება);

ბ) საზოგადოებრივი ჯგუფების სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან (მაგალითად, აზრის გამოხატვის თავისუფლება, თავშეყრის თავისუფლება, ზემოქმედება ადამიანების უფლებების დამცველებზე); და

გ) ***მკვიდრი მოსახლეობის*** განსაკუთრებულ უფლებებთან (მაგალითად, ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა, თვითგამორკვევა, კულტურული უფლებები).

3. გარდა ამისა, ეს სტანდარტი მოითხოვს იმის ახსნას, ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე საწარმოს ამგვარ ზემოქმედებას და ასევე მის ***დამოკიდებულებას*** როგორ შეუძლია საწარმოსთვის არსებითი რისკების ან შესაძლებლობების წარმოქმნა. მაგალითად, ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** უარყოფითმა ურთიერთკავშირებმა შესაძლოა ჩაშალოს საწარმოს საქმიანობა ან ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას, ხოლო კონსტრუქციულ ურთიერთობებს შეუძლია ბიზნესისთვის უპირატესობებისა და სარგებლის მოტანა, როგორიც არის, მაგალითად სტაბილური და უკონფლიქტო საქმიანობა და ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტების მნიშვნელოვნად გაადვილება.

ურთიერთქმედება სხვა ESRS-ებთან

4. წინამდებარე სტანდარტი იმ შემთხვევაში გამოიყენება, ***როდესაც ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** დაკავშირებული არსებითი რისკები და შესაძლებლობები ან/და მათზე არსებითი ზემოქმედება გამოვლინდება ***არსებითობის*** შეფასების პროცესის მეშვეობით, რომელიც განხილულია ESRS 2-ში – *„ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“.*

5. ეს სტანდარტი უნდა განიხილებოდეს ESRS 1-სა – *„ზოგადი მოთხოვნები“* და ESRS 2-თან , ასევე ESRS S1-თან – *„საკუთარი სამუშაო ძალა“,* ESRS S2-თან – *„ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეები“* და ESRS S4-თან – *„მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები“* – ერთად.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

ESRS 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“

6. სტანდარტის ამ ნაწილის მოთხოვნები უნდა განიხილებოდეს ESRS 2 -ის ინფორმაციის გამჟღავნების იმ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც ეხება სტრატეგიას. ამ მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს ESRS 2-ით მოთხოვნილ ინფორმაციასთან ერთად, გარდა SBM-3-ის *„არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“* – შესაბამისი ინფორმაციის, რომლის გამჟღავნება საწარმოს შეუძლია ასევე თემატურ ინფორმაციასთან ერთად.

<u>სტრატეგია</u>

ESRS 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

7. ESRS 2-ის SBM-2 ნაწილის 43-ე პუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ითვალისწინებს თავის სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივ ჯგუფების*** მოსაზრებებს, ინტერესებსა და უფლებებს, მათ შორის მათი უფლებების დაცვას (და მათი, როგორც მკვიდრი მოსახლეობის უფლებების დაცვას, სადაც ეს შესაფერისია). ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები*** ზემოქმედების ქვეშ მყოფი ***დაინტერესებული მხარეების*** ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფია.

ESRS 2-ის SBM-3 ნაწილთან – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერ-თქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

8. ESRS 2 SBM-3-ის 48-ე პუნქტის მოთხოვნების შესრულებისას საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

   ა) ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედება, როგორც ეს განსაზღვრულია ESRS 2-ის IRO-1 ნაწილში – *„არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა“:* (1) თუ გამომდინარეობს საწარმოს სტრატეგიიდან და ბიზნესმოდელებიდან და როგორ, ან დაკავშირებულია თუ არა საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან და როგორ და (2) თუ არის გათვალისწინებული და ხელს უწყობს თუ არა საწარმოს სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის ადაპტაციას; და

   ბ) როგორი ურთიერთკავშირია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზემოქმედებისა და ***დამოკიდებულების*** შედეგად წარმოქმნილ საწარმოს არსებით რისკებსა და შესაძლებლობებსდა მის სტრატეგიასა და ბიზნესმოდელს შორის.

9. 48-ე პუნქტის მოთხოვნების შესრულებისას საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, საწარმოს მიერ ESRS 2-ის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია მოიცავს თუ არა ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ*** ყველა ***საზოგადოებრივ ჯგუფს***, რომელზეც შესაძლოა განხორციელდეს არსებითი ზემოქმედება საწარმოს მხრიდან, მათ შორის ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვთან, მათ შორის მისი პროდუქციის ან მომსახურების და ასევე ***საქმიანი ურთიერთობების*** მეშვეობით. გარდა ამისა, საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

   ა) იმ საზოგადოებრივი ჯგუფების ტიპების მოკლე აღწერა, რომლებიც ექვემდებარება არსებით ზემოქმედებას საწარმოს საკუთარი ოპერაციების ან მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის მეშვეობით და მიუთითოს, ვინ არიან ისინი:

      i. საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობენ ან მუშაობენ საწარმოს საქმიანობის განხორციელების ***ადგილების***, ქარხნების, ნაგებობების ან სხვა ფიზიკური ობიექტების მახლობლად, თუ გეოგრაფიულად უფრო დაშორებული საზოგადოებრივი ჯგუფებია, რომლებზეც გავლენას ახდენს ზემოაღნიშნულ ადგილებზე განხორციელებული საქმია-ნობა (მაგალითად, ქვედა დინების წყლის ***დაბინძურებით***);

      ii. საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებზეც გავლენას ახდენს საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვში შემავალი სუბიექტების საქმიანობა (მაგალითად, ***მომწოდებლების*** ობიექტების საქმიანობა ან ლოჯისტიკის პროვაიდერების ან დისტრიბუტორების საქმიანობა);

      iii. საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც სახლობენ ღირებულებათა ჯაჭვის ერთ-ერთ ან ორივე ბოლო წერტილში (მაგალითად, ლითონის ან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ან ნედლეულის დამზადების ადგილებში, ან ***ნარჩენების*** ან ***რეციკლირების*** ტერიტორიების მახლობლად);

      iv. ***მკვიდრი მოსახლეობა***.

   ბ) არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში – იმის აღწერა, ზემოქმედება (i) ფართოდ გავრცელებული ან სისტემური ხასიათისაა თუ არა იმ გარემოში, სადაც საწარმო საქმიანობს ან აქვს შესყიდვები ან სხვა საქმიანი ურთიერთობები (მაგალითად, მოსახლეობის მარგინალური ფენები, რომლებიც ზარალდებიან მათ ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე ზემოქმედების გამო, ძალიან ინდუსტრიალიზებულ რაიონში), თუ (ii) დაკავშირებულია ცალკეულ ***ინციდენტებთან*** საწარმოს საკუთარ ოპერაციებში (მაგალითად, ტოქსიკური ***ნარ-ჩენების*** გაჟონვა/დაღვრა, რაც გავლენას ახდენს სუფთა სასმელ წყალთან ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის წვდომაზე) ან კონკრეტულ საქმიან ურთიერთობაში (მაგ., საზო-გადოებრივი ჯგუფების მშვიდობიანი საპროტესტო აქცია საწარმოს საქმიანობის/ოპერაციების წინააღმდეგ, რომელიც წააწყდა ძალადობრივ რეაქციას საწარმოს უსაფრთხოების სამსახურის

მხრიდან). ეს მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე განხორციელებული ისეთი ზემოქმედების განხილვასაც, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს უფრო მწვანე და კლიმატნეიტრალურ საქმიანობაზე გადასვლით. პოტენციური ზემოქმედება მოიცავს ისეთ ზემოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციებთან და რესტრუქტურიზაციასთან, მაღაროების დახურვასთან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმიანობის გაფართოებასთან, რაც აუცილებელია მდგრად ეკონომიკაზე გადასასვლელად და მზის პანელების საწარმოებლად;

გ) არსებითი დადებითი ზემოქმედების შემთხვევაში – იმ საქმიანობების მოკლე აღწერა, რომლებიც იწვევს დადებით ზემოქმედებას (მაგალითად, საზოგადოებრივი ჯგუფების შესაძლებლობების გაზრდა საარსებო საშუალებების/შემოსავლების მიღების ადგილობრივი წყაროების უფრო მეტი და ახალი ფორმების მხარდასაჭერად), ასევე საზოგადოებრივი ჯგუფების ტიპების აღწერა, რომლებზეც ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს დადებითი ზემოქმედება. გარდა ამისა, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმის თაობაზე, ეს დადებითი ზემოქმედება კონკრეტულ ქვეყნებში ან რეგიონებში ხორციელდება თუ არა; და

დ) ნებისმიერი არსებითი რისკი და შესაძლებლობა ბიზნესისთვის, რომელიც წარმოიქმნება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზემოქმედებისა და ***დამოკიდებულების*** შედეგად.

10. საზოგადოებრივი ჯგუფების იმ ძირითადი ტიპების აღწერისას, რომლებზეც ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს უარყოფითი ზემოქმედება ESRS 2-ის IRO-1 ნაწილის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებში აღწერილი ***არსებითობის*** შეფასების მიხედვით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ცნობილია თუ არა მისთვის, რომ შეიძლება ზიანის განსაკუთრებული რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ კონკრეტული მახასიათებლების მქონე, ან გარკვეულ პირობებში მცხოვრები ან გარკვეული საქმიანობით დაკავებული ***საზოგადოებრივი ჯგუფები,*** ხოლო თუ ცნობილია – როგორ შეიტყო.

11. საწარმომ, შესაბამის შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზემოქმედებისა და ***დამოკიდებულების*** შედეგად წარმოქმნილი არსებითი რისკებიდან და შესაძლებლობებიდან რომელია დაკავშირებული მხოლოდ ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ*** გარკვეულ ***საზოგადოებრივი ჯგუფებთან*** და არა ყველასთან.

<u>ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა</u>

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-1 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული პოლიტიკები“

12. **საწარმომ უნდა აღწეროს პოლიტიკა, რომელიც დადგენილი აქვს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე მისი არსებითი ზემოქმედებისა და ასევე დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.**

13. ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, რამდენად სრული და ყოვლისმომცველია საწარმოს პოლიტიკა, რომელიც კონკრეტულად დაკავშირებულია ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** მისი არსებითი ზემოქმედების გამოვლენასთან, შეფასებასთან, მართვასთან ან/და ***რემედიაციასთან,*** ასევე პოლიტიკა, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებულ არსებით რისკებს ან შესაძლებლობებს ეხება.

14. მე-12 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც ემსახურება ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვას, ESRS 2-ის MDR-P ნაწილის – *„მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები“* – შესაბამისად.

გარდა ამისა, საწარმომ უნდა მიუთითოს, ამგვარი პოლიტიკა მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ მყოფ გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ვრცელდება თუ ყველაზე.

15. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ***პოლიტიკის*** ნებისმიერი კონკრეტული დებულება, რომელიც ***მკვიდრ მოსახლეობაზე*** ზემოქმედების პრევენციასა და რეგირებას ეხება.

16. საწარმომ უნდა აღწეროს ადამიანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული თავისი ***პოლიტიკის*** ის ვალდებულებები[1], რომლებიც ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს ეხება, მათ შორის პროცესები და მექანიზმები, რომლებიც შემუშავებულია: „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების", „შრომის სფეროში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციის" ან „მულტინაციონალური საწარმოებისთვის ეთგოს (OECD) სახელმძღვანელო მითითებების" დაცვაზე მონიტორინგის განსახორციელებლად. ამ ინფორმაციაში საწარმომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ქვემოთ ჩამოთვლილ ასპექტებთან დაკავშირებულ არსებით საკითხებსა და თავის მიდგომაზე:

   ა) ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების უფლებების დაცვა და, კერძოდ, ***მკვიდრი მოსახლეობის***;

   ბ) ურთიერთქმედება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან; და

   გ) ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების ***რემედიაციის*** უზრუნველყოფაზე ან/და რემედიაციის ხელშეწყობაზე.

17. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** დაკავშირებული მისი პოლიტიკა შეესაბამება თუ არა და რამდენად საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რომლებიც ეხება საზოგადოებრივ ჯგუფებს და, კერძოდ, ***მკვიდრ მოსახლეობას,*** მათ შორის „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს". გარდა ამისა, უნდა აღწეროს, რა მოცულობით დაფიქსირდა მის საკუთარ ოპერაციებში ან მის აღმავალ და დაღმავალ ***ღირებულებათა ჯაჭვში*** ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების, შრომის სფეროში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციის ან მულტინაციონალური საწარმოებისთვის ეთგოს (OECD) სახელმძღვანელო მითითებების დარღვევის შემთხვევები და, როდესაც შესაფერისია, მიუთითოს ამგვარი შემთხვევების ხასიათი[2].

18. ზემოაღნიშნული ***პოლიტიკა*** შესაძლოა იზოლირებული დამოუკიდებელი პოლიტიკა იყოს, რომელიც ეხება საზოგადოებრივ ჯგუფებს, ან შეიძლება უფრო ფართო დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი იყოს, როგორიც არის ეთიკის კოდექსი ან მდგრადი განვითარების ზოგადი პოლიტიკა, რომლის შესახებ ინფორმაცია საწარმოს უკვე გამჟღავნებული აქვს სხვა ESRS-ის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ

---

1. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #9 მაჩვენებლით („ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის არარსებობა") ("Lack of a human rights policy").

2. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეების საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #10 მაჩვენებლით" („გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებისა და მულტინაციონალური საწარმოებისთვის ეთგოს სახელმძღვანელო მითითებების დარღვევა") ("Violations of UN Global Compact principles and Organisation for Economic Cooperation and Development (OECD) Guidelines for Multinational Enterprises"), ასევე შედარებითი ანალიზის ადმინისტრატორების საინფორმაციო საჭიროებებს, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამჟღავნების საკითხში (EU) 2020/1816 რეგულაციის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია შემდეგი მაჩვენებლებით: „შესადარებელი კომპონენტების რაოდენობა, რომლებზეც ვრცელდება სოციალური დარღვევები (აბსოლუტური და ფარდობითი რიცხვი, გაყოფილი ყველა შესადარებელ კომპონენტზე), როგორც მითითებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებში, გაეროს პრინციპებში და, შესაბამის შემთხვევაში, ადგილობრივ კანონმდებლობაში" და „შედარების პორტფელის ზემოქმედება კომპანიებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ კომპლექსური შემოწმების პოლიტიკა იმ საკითხებისთვის, რომლებიც განხილულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად კონვენციებში 1-8", II დანართის 1 და 2 განყოფილებაში.

ზუსტად უნდა მიუთითოს ამ ინფორმაციის ადგილი, რათა შესაძლებელი იყოს ამგვარი პოლიტიკის იმ ასპექტების დადგენა, რომლებიც აკმაყოფილებს ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნას.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-2 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედების პროცესები ზემოქმედებასთან დაკავშირებით“

19. **საწარმომ უნდა აღწეროს საერთო პროცესები, რომლებიც განკუთვნილია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და მათ წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებისთვის მათზე ფაქტობრივ და პოტენციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით.**

20. ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, საწარმო, უწყვეტი კომპლექსური შემოწმების პროცესის ფარგლებში, ურთიერთქმედებს თუ არა და როგორ ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ან ***ნდობით აღჭურვილ პირებთან*** ისეთ არსებით ფაქტობრივ და პოტენციურ დადებით ან/და უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენს ან შეიძლება გავლენა მოახდინოს მათზე, ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების მოსაზრებები გაითვალისწინება თუ არა და როგორ საწარმოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

21. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ***ზემოქმდების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების*** მოსაზრებები გავლენას ახდენს თუ არა და როგორ საწარმოს იმ გადაწყვეტილებებზე ან ქმედებებზე, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივ ჯგუფებზე მისი ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედების მართვაზე. შესაბამის შემთხვევაში ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგი საკითხების ახსნას:

   ა) ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ან მათ ***კანონიერ წარმომადგენლებთან*** ურთიერთქმედება პირდაპირ ხორციელდება თუ ***ნდობით აღჭურვილი პირების*** მეშვეობით, რომელთათვისაც ცნობილია მათი სიტუაცია;

   ბ) სტადია (სტადიები), როდესაც ხორციელდება ურთიერთქმედება, ურთიერთქმედების ტიპი და სიხშირე;

   გ) საწარმოში არსებული ფუნქცია და ყველაზე მაღალი თანამდებობა, რომელსაც ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ურთიერთქმედების უზრუნველყოფასა და იმაზე, რომ შედეგები ასახავდეს საწარმოს მიდგომას;

   დ) როდესაც შესაფერისია, როგორ აფასებს საწარმო ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან თავისი ურთიერთქმედების ეფექტიანობას, მათ შორის, ამა თუ იმ შეთანხმებას ან შეთანხმებით მიღწეულ შედეგს (ამგვარი შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში).

22. როდესაც შესაფერისია, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომლებსაც მიმართავს ინფორმაციის მოსაპოვებლად ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი*** იმ **საზოგადოებრივი ჯგუფების** მოსაზრებების შესახებ, რომლებიც ზემოქმედების მიმართ შესაძლოა განსაკუთრებით მოწყვლადი იყვნენ ან/და მარგინალურები, ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების მოსაზრებების შესახებ, როგორიც არის, მაგალითად ქალები და გოგონები.

23. როდესაც ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები მკვიდრი მოსახლეობაა***, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ასევე, როგორ ითვალისწინებს და როგორ უზრუნველყოფს ის ამ ჯგუფების კონკრეტული უფლებების დაცვას ***დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედებისთვის*** შემუშავებულ მიდგომაში, მათ შორის ***ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის*** უფლებას, რომელიც ეხება: (i) მათ კულტურულ, ინტელექტუალურ, რელიგიურ და სულიერ საკუთრებას; (ii) საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს მათ მიწებსა და ტერიტორიებზე და (iii) საკანონმდებლო ან ადმინისტრაციულ ზომებს, რომლებიც მათ ეხებათ. კერძოდ, როდესაც ურთიერთქმედება მკვიდრ მოსახლეობასთან ხორციელდება, საწარმომ ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს იმის თაობაზეც, გაიარა თუ არა მან კონსულტაცია ურთიერთქმედების ფორმატისა და საზღვრების შესახებ

მკვიდრ მოსახლეობასთან და როგორ (მაგალითად, დღის წესრიგის შემუშავებისას, ურთიერთქმედების ხასიათისა და შესაბამისი დროის განსაზღვრისას).

24. თუ საწარმოს არ შეუძლია ზემოთ მითითებული სავალდებულო ინფორმაციის გამჟღავნება იმის გამო, რომ დადგენილი არა აქვს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედების საერთო პროცესი, მან უნდა უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი. საწარმოს შეუძლია მიუთითოს ვადები, რომლის განმავლობაშიც განზრახული აქვს ამ პროცესის დანერგვა.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება "

---

25. **საწარმომ უნდა აღწეროს მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ჯგუფებზე უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციისთვის ან რემედიაციაში თანამშრომლობისთვის დანერგილი პროცესები, ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი არხები, რომლის მეშვეობით მათ შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება და მათი მოგვარება.**

26. ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმ ფორმალური საშუალებების შესახებ, რომლის მეშვეობით ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს*** შეუძლიათ, უშუალოდ საწარმოს აცნობონ თავიანთი პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ან/და რომლის მეშვეობით საწარმო ხელს უწყობს ასეთ არხებთან (მაგალითად, ***საჩივრების მართვის მექანიზმებთან***) წვდომას თავისი საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით, ასევე იმის თაობაზე, როგორ ხორციელდება კონტროლი ამ საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ წამოჭრილი პრობლემების მოგვარებასა და ამ არხების ეფექტიანობაზე.

27. საწარმომ უნდა აღწეროს:

   ა) საერთო მიდგომა და პროცესები, რომლებიც განკუთვნილია ***რემედიაციის*** ზომების გასატარებლად ან ამ ზომებში მონაწილეობის მისაღებად, თუ საწარმომ გამოიწვია ან ხელი შეუწყო ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე არსებით უარყოფით ***ზემოქმედებას***, მათ შორის, საწარმო აფასებს თუ არა და როგორ გატარებული რემედიაციის ზომების ქმედითობას;

   ბ) ნებისმიერი კონკრეტული არხი, რომელიც საწარმოს აქვს იმისთვის, რომ ***ზემოქმედების ქვეშ მყოფმა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა*** უშუალოდ მას აცნობონ თავიანთი პრობლემების ან საჭიროებების შესახებ და მოუგვაროს ისინი, მათ შორის, თვითონ საწარმოს მიერ არის თუ არა შექმნილი ეს არხები ან/და მესამე მხარეთა მიერ შექმნილ მექანიზმებში ჩართულობით;

   გ) პროცესები, რომლის მეშვეობით საწარმო ხელს უწყობს ამგვარ არხებთან წვდომას საკუთარი საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით; და

   დ) როგორ ახორციელებს საწარმო წამოჭრილ პრობლემებსა და მათი მოგვარების მდგომარეობაზე თვალყურის დევნებას და მონიტორინგს და როგორ უზრუნველყოფს ამ არხების ეფექტიანობას, მათ შორის იმ ***დაინტერესებული მხარეების*** მონაწილეობით, რომლებიც გამიზნული ***მომხმარებლები*** არიან.

28. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, ის აფასებს/ადგენს თუ არა და როგორ იმას, რომ ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის*** ცნობილია ეს სტრუქტურები ან პროცესები, როგორც მათი პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და მოგვარების მექანიზმები. გარდა ამისა, საწარმომ უნდა მიუთითოს, აქვს თუ არა მას შურისგების აქტისგან იმ პირთა დაცვის პოლიტიკა, რომლებიც ამ მექანიზმებს იყენებენ. თუ ასეთი ინფორმაცია საწარმოს უკვე გამჟღავნებული აქვს ESRS G1-1-ის შესაბამისად, მას შეუძლია მიუთითოს ეს ინფორმაცია.

29. თუ საწარმოს არ შეუძლია ზემოთ მითითებული სავალდებულო ინფორმაციის გამჟღავნება იმის გამო, რომ მას არა აქვს შექმნილი არხი პრობლემების შესახებ ინფორმირებისთვის ან/და იგი ხელს

არ უწყობს ამგვარი არხის შექმნას თავის საქმიან ურთიერთობებში, მაშინ მან უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი. საწარმოს შეუძლია მიუთითოს ვადა, რომლის განმავლობაშიც განზრახული აქვს ასეთი არხის ან პროცესების დანერგვა.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-4 – „ზომების მიღება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე ამ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

30. **საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ატარებს ის ზომებს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე არსებითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად, ამ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენებისთვის, ასევე ამ ქმედებების ეფექტიანობის შესახებ.**

31. ინფორმაციის გამჟღავნების ზემოაღნიშნულ მოთხოვნას ორმაგი მიზანი აქვს. პირველი, ამ ინფორმაციამ მომხმარებლებს საშუალება უნდა მისცეს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საწარმოს იმ ***ქმედებებისა*** და ინიციატივების შესახებ, რომლის მეშვეობითაც ის ცდილობს:

   ა) ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე უარყოფითი არსებითი ***ზემოქმედების*** პრევენციას, შერბილებასა და ***რემედიაციას;*** ან/და

   ბ) მიაღწიოს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე დადებით არსებით ზემოქმედებას.

   მეორე, ამ ინფორმაციის მეშვეობით გასაგები უნდა გახდეს, როგორ რეაგირებს საწარმო ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებულ არსებით ***რისკებზე*** და როგორ იყენებს ამ ჯგუფებთან დაკავშირებულ არსებით ***შესაძლებლობებს***.

   საწარმომ ESRS 2-ის MDR-A ნაწილის – *„მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები“* – შესაბამისად უნდა წარმოადგინოს სამოქმედო გეგმისა და იმ რესურსების მოკლე აღწერა, რომლებიც გამიზნულია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.

32. არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით საწარმომ უნდა აღწეროს:

   ა) უკვე განხორციელებული, დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი ქმედებები, რომლებიც მიმართულია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე უარყოფითი არსებითი ზემოქმედების პრევენციაზე ან შერბილებაზე;

   ბ) გაატარა თუ არა რაიმე ზომები და როგორ, არსებითი ფაქტობრივი ზემოქმედების რემედიაციისთვის ან ***რემედიაციის*** ხელშეწყობის მიზნით;

   გ) ნებისმიერი დამატებითი ***ქმედება*** ან თავისი ინიციატივა, რომლის ძირითადი მიზანია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე დადებითი ზემოქმედების განხორციელება; და

   დ) როგორ ახორციელებს ის ამ ***ქმედებებისა*** და ინიციატივების ეფექტიანობაზე თვალყურის დევნებას და მის შეფასებას, ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის დასახული შედეგების მიღწევის კუთხით.

33. 29-ე პუნქტთან დაკავშირებით საწარმომ უნდა აღწეროს:

   ა) პროცესები, რომლის მეშვეობითაც განსაზღვრავს, რა ქმედებებია აუცილებელი და შესაფერისი ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ფაქტობრივ ან პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის;

   ბ) მიდგომა, რომელსაც იყენებს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე კონკრეტულ არსებით უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით ამა თუ იმ ქმედების გან-

სახორციელებლად, მათ შორის ნებისმიერი ***ქმედება,*** რომელიც დაკავშირებულია მიწის შეძენის, დაგეგმარებისა და მშენებლობის, საქმიანობის წარმართვის ან შეწყვეტისთვის გამოყენებულ საწარმოს მიდგომებთან, ასევე აუცილებელია თუ არა უფრო ფართო დარგობრივი ან ერთობლივი ქმედებების განხორციელება სხვა შესაფერის მხარეებთან ერთად; და

გ) როგორ უზრუნველყოფს ის, რომ არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში ***რემედიაციის*** ან ***რემედიაციის*** ხელშეწყობისთვის განკუთვნილი პროცესები ხელმისაწვდომი იყოს, ხოლო რეალიზებისა და შედეგების თვალსაზრისით – ქმედითი.

34. არსებით რისკებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით საწარმომ უნდა აღწეროს:

ა) რა ქმედებები იგეგმება ან ხორციელდება საწარმოს არსებითი რისკების შესარბილებლად, რომლებიც წარმოიშობა ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** მისი ზემოქმედებისა და ***დამოკიდებულების*** შედეგად და როგორ უზრუნველყოფს ის პრაქტიკაში მათ ეფექტიანობაზე თვალყურის დევნებას; და

ბ) რა ქმედებები იგეგმება ან ხორციელდება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული საწარმოს არსებითი შესაძლებლობების გამოყენებისთვის.

35. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ატარებს თუ არა ის რაიმე ზომებს და როგორ იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** არსებითი უარყოფითი ზემოქმედების წარმოქმნა ან ამგვარი ზემოქმედების ხელშეწყობა საკუთარი ბიზნესმიდგომების მეშვეობით, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დაგეგმარებასთან, შეძენასა და გამოყენებასთან, დაფინანსებასთან, ნედლეულის მოპოვებასთან ან წარმოებასთან, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და გარემოზე ზემოქმედების მართვასთან. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს იმ მიდგომის აღწერას, რომელსაც საწარმო იმ შემთხვევაში იყენებს, როდესაც წინააღმდეგობა წარმოიქმნება არსებითი უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას ან შერბილებასა და ბიზნესის მხრიდან სხვა ზეწოლას შორის.

36. გარდა ამისა, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, აცნობეს თუ არა მას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემებისა და ***ინციდენტების*** შესახებ, რომლებიც ეხება ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს,*** ხოლო თუ ასეა, უნდა გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია[3].

37. თუ საწარმო ამა თუ იმ ქმედების ეფექტიანობას სამიზნე მაჩვენებლის დადგენის მეშვეობით აფასებს, მან 32(გ) პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნებისას უნდა გაითვალისწინოს ESRS 2-ის MDR-T ნაწილის – *„პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება* სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით“ – მოთხოვნები.

38. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი არსებითი ზემოქმედების მართვისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომლის მეშვეობით ***მომხმარებლები*** ნათელ წარმოდგენას შეიქმნიან იმის შესახებ, როგორ მართავს საწარმო არსებით ზემოქმედებას.

<u>მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები</u>

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-5 – „არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართვასთან,

3. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #14 მაჩვენებლით („ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების გამოვლენილი შემთხვევებისა და ინციდენტების რაოდენობა“) (“Number of identified cases of severe human rights issues and incidents”).

39. **საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დროით შეზღუდული და შედეგზე ორიენტირებული სამიზნე მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც შესაძლოა დადგენილი აქვს შემდეგ ასპექტებთან მიმართებით:**

   ა) **ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება; ან/და**

   ბ) **ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესება; ან/და**

   გ) **ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვა.**

40. ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, როგორ იყენებს საწარმო დროით შეზღუდულ და შედეგებზე ორიენტირებულ ***სამიზნე მაჩვენებლებს*** არსებითი უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრის სტიმულირებისა და ამ კუთხით მიღწეული პროგრესის გასაზომად, ან/და ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე დადებითი ზემოქმედების გასაუმჯობესებლად, ან/და ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.

41. **ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან** დაკავშირებული საწარმოს არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის განკუთვნილი ***სამიზნე მაჩვენებლების*** მოკლე აღწერა უნდა მოიცავდეს ESRS 2-ის MDR-T ნაწილის მოთხოვნების შესაბამის ინფორმაციას.

42. საწარმომ უნდა აღწეროს ***სამიზნე მაჩვენებლების*** დასადგენად გამოყენებული პროცესი, მათ შორის, საწარმო უშუალოდ ურთიერთქმედებდა თუ არა ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ან ***ნდობით აღჭურვილ პირებთან,*** რომელთათვისაც ცნობილია მათი სიტუაცია, ხოლო თუ ასეა – როგორ:

   ა) რომელიმე ამგვარი სამიზნე მაჩვენებლების დადგენისას;

   ბ) მათ შესრულებაში მიღწეულ შედეგებზე თვალყურის დევნებისას; და

   გ) საწარმოს საქმიანობის შედეგად გამოტანილი ნებისმიერი გაკვეთილის ან გაუმჯობესების დადგენისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

წინამდებარე დანართი ESRS S3-ის *„ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები“* – განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს წინამდებარე სტანდარტით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების პრაქტიკაში გამოყენებას და იგივე ძალა აქვს, რაც ESRS S3-ის დანარჩენ ნაწილებს.

მიზანი

გმ1. მე-2 პუნქტში განხილული სოციალური და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ამ საკითხის შესახებ ცალ-ცალკე უნდა იყოს გამჟღავნებული ინფორმაცია წინამდებარე სტანდარტის ინფორმაციის გამჟღავნების ყველა მოთხოვნის ფარგლებში. სინამდვილეში, ეს იმ საკითხების ჩამონათვალია, რომლებიც საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** დაკავშირებული ***არსებითობის*** შეფასებისას (იხ. ESRS 1-ის მე-3 თავი – *„ორმაგი არსებითობა“*, რის საფუძველზეც მჟღავნდება მდგრადობის შესახებ ინფორმაცია და ESRS 2-ის ნაწილი IRO-1) და, შესაბამის

შემთხვევაში, ინფორმაცია გაამჟღავნოს იმ არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძ-ლებლობების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს.

გმ2. მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საკითხების გარდა, საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია სხვა საკითხების შესახებაც, რომლებიც ეხება შედარებით მოკლევადიან არსებით ზემოქმედებას, მაგალითად, ექსტრემალური და მოულოდნელი ამინდის პირობებით გამოწვეულ საწარმოს ქმედებებთან დაკავშირებულ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ჯგუფებზე და საპასუხოდ განხორცი-ელებულ ინიციატივებს.

ESRS 2 – *„ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“*

<u>სტრატეგია</u>

ESRS 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

გმ3. ESRS 2-ის SBM-2 ნაწილის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, საწარმო განიხილავს და ითვალისწინებს თუ არა და როგორ, რა როლს თამაშობს მისი სტრატეგია და ***ბიზნესმოდელი ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** მნიშვნელოვანი არსებითი ***ზემოქმედების*** წარმოქმნაში, გამწვავებაში ან შერბილებაში, ასევე მისი ბიზნესმოდელი და სტრატეგია მიესადაგება თუ არა და როგორ ამგვარი არსებითი ზემოქმედების აღმოფხვრის მიზანს.

გმ4. მართალია, ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები*** შესაძლოა საწარმოსთან არ ურთიერთქმედებდნენ მისი სტრატეგიის ან ბიზნესმოდელის დონეზე, მაგრამ მათმა მოსაზრებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საწარმოს მიერ თავისი სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის შეფასებაზე. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების მოსაზრებები.

ESRS 2-ის SBM-3 ნაწილთან – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამ-ჟღავნების მოთხოვნა

გმ5. ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზეგავლენა*** საწარმოს სტრატეგიის ან ***ბიზნეს-მოდელის*** ფარგლებში შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით წარმოიქმნას. მაგალითად, ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს საწარმოს სპეციალურ შეთავაზებასთან (მაგ., მშენებლობის ან პროექტების დაწყება ისეთ ვადებში, რომ აღარ რჩება საკმარისი დრო იმ საზოგადოებრივ ჯგუფებთან კონსულტაციებისათვის, რომლებზეც ამ პროექტმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს), მის ***ღირებულებათა ჯაჭვთან*** (მაგალითად, ***მიწათსარგებლობა*** ისეთ ქვეყნებში, სადაც საკუთრების უფლება ხშირად იგნორირდება, ან ჩანაწერები არ არის საიმედო, ან მხედველობაში არ მიიღება მიწის მოსარგებლეები, როგორიცაა მკვიდრი მოსახლეობა), ან დანახარჯების სტრუქტურასა და ამონაგების მოდელთან (როგორიცაა გადასახადების მაქსიმალურად შემცირებაზე მიმართული აგრესიული სტრატეგია, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში წარმოებულ ოპერაციებთან მიმარ-თებით).

გმ6. ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს სტრატეგიით ან ბიზნესმოდელით განპირობებულმა ზემოქმედებამ შესაძლოა საწარმოც დააყენოს არსებითი ***რისკების*** წინაშე. მაგა-ლითად, როდესაც საწამოს სტრატეგია ითვალისწინებს მაღალრისკიან რეგიონებში საქმიანობის

გადატანას გარკვეული საქონლის ან რესურსების გამოდევნების გამო, ხოლო ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები ეწინააღმდეგებიან მის არსებობას ან პროტესტს გამოხატავენ მისი საქმიანობის ადგილობრივი მიდგომების მიმართ, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი და ძვირად ღირებული შეფერხებები გამოიწვიოს და გავლენა იქონიოს საწარმოზე იმ თვალსაზრისით, რომ მომავალში შეძლოს მიწათსარგებლობაზე კონცესიების ან ნებართვების მიღება. ანალოგიურად, თუ საწარმოს ბიზნესმოდელი ეყრდნობა წყლის ინტენსიურ ექსტრაქციას მის ქარხნებში, იმის გამო, რომ ეს გავლენას იქონიებს საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ წყლის მოხმარებაზე, ჰიგიენასა და საარსებოდ აუცილებელი წყლის ხელმისაწვდომობაზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის შემლახველი ბოიკოტი, საჩივრები და სასამართლო სარჩელები.

გმ7. ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივ ჯგუფების*** განსაკუთრებული მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინება და განხილვა საწარმოს შეუძლია მე-10 პუნქტის შესაბამისი ინფორმაციის მომზადებისას, შესაძლოა ეხებოდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფ ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც ფიზიკურად ან ეკონომიკურად იზოლირებულია და განსაკუთრებით მოწყვლადია შემოტანილი დაავადებების მიმართ, ან შეზღუდული წვდომა აქვს სოციალურ მომსახურებაზე და, მაშასადამე, დამოკიდებულია საწარმოს მიერ შექმნილ ინფრასტრუქტურაზე. შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც საწარმო ყიდულობს მიწას, რომელსაც ქალები ამუშავებენ, ხოლო გადახდილ ფულს იღებენ ოჯახის უფროსი მამაკაცები, რის გამოც ქალებს კიდევ უფრო ეზღუდებათ სამოქალაქო უფლებები. ასევე, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთ სიტუაციასთან, როდესაც ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფი მკვიდრი მოსახლეობაა და მისი წევრები ცდილობენ თავიანთი კულტურული ან ეკონომიკური უფლებების რეალიზებას მიწაზე, რომელიც ეკუთვნის საწარმოს ან რომელსაც საწარმო იყენებს, ან ეკუთვნის რომელიმე სუბიექტს ან იყენებს რომელიმე სუბიექტი, რომელთანაც საწარმოს აქვს საქმიანი ურთიერთობა – გარემოში, სადაც მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს არ იცავს სახელმწიფო. გარდა ამისა, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ გადაიკვეთება სხვადასხვა მახასიათებელი. მაგალითად, ისეთმა მახასიათებლებმა, როგორიცაა ეთნიკური კუთვნილება, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მიგრანტის სტატუსი და სქესი შეიძლება გამოიწვიოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის ან მათი ცალკეული ნაწილებისთვის ზიანის გამომწვევი ურთიერთგადამფარავი რისკები, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები ხშირად, თავიანთი არსით, არაერთგვაროვანი ჯგუფებია.

გმ8. რაც შეეხება მე-11 პუნქტს, არსებითი რისკები შესაძლოა ასევე წარმოიქმნას ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს დამოკიდებულების გამო, როდესაც დაბალი ალბათობის, მაგრამ მაღალი ზეგავლენის მქონე მოვლენებმა შეიძლება ***ფინანსური შედეგები*** გამოიწვიოს, მაგალითად, როდესაც სტიქიური უბედურება კატასტროფულ სამრეწველო ინციდენტს იწვევს, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობასთან და სერიოზულ ზიანს აყენებს ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს.

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-1 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული პოლიტიკები“

გმ9. აღწერაში გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** დაკავშირებული პოლიტიკის სამართლიანი წარდგენის მისაღწევად და, მაშასადამე, საწარმომ უნდა ახსნას საანგარიშგებო წლის განმავლობაში ამ პოლიტკაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები (მაგალითად, ურთიერთქმედების, კომპლექსური შემოწმებისა და რემედიაციის ახალი ან დამატებითი მიდგომები).

გმ10. როდესაც საწარმო აღწერს, თუ რამდენად შეესაბამება მისი პოლიტიკა „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს“ მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს

სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ბილს ეხება, რომელიც შედგება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისა და ორი პაქტისაგან, რომელთა მეშვეობითაც ხდება მათი პრაქტიკაში განხორციელება, ასევე გაეროს დეკლარაციას მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას, მკვიდრი მოსახლეობისა და ტომურად მცხოვრები ხალხების შესახებ (ILO №169) და ძირითად კონვენციებს, რომელთაც ეს დოკუმენტი ეყრდნობა, ამიტომ საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია ამ ინსტრუმენტებით გათვალისწინებული რეკომენდაციების დაცვის შესახებ.

გმ11. საილუსტრაციოდ საწარმოს შეუძლია აღწეროს, თუ როგორ აწვდის საკუთარი პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას იმ ფიზიკურ პირებს, ადამიანთა ჯგუფებს ან სუბიექტებს, ვისაც ეს პოლიტიკა ეხება, მაგალითად, ვინც ეს პოლიტიკა უნდა განახორციელოს (როგორიცაა, საწარმოს ***დასაქმებულები,*** კონტრაქტორები და ***მომწოდებლები***), ან ვისაც პირდაპირი ინტერესი აქვს, რომ ეს პოლიტიკა დაინერგოს (მაგ., საკუთარი სამუშაო ძალა, ინვესტორები). საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმ ინსტრუმენტებისა და საკომუნიკაციო არხების შესახებ (როგორიცაა საინფორმაციო ფურცლები, ბიულეტენები, სპეციალური ვებგვერდები, სოციალური ქსელები, პირადი ურთიერთობები და მომუშავეთა წარმომადგენლები), რომელთა მიზანია, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ეს პოლიტიკა და ცნობილი გახდეს მისი შედეგები. საწარმოს ასევე შეუძლია ახსნას, როგორ ავლენს და აღმოფხვრის ამ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ პოტენციურ დაბრკოლებებს, მაგალითად, პოლიტიკის თარგმანით შესაბამის ენაზე ან გრაფიკული გამოსახულებების გამოყენებით.

გმ12. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს ადამიანების უფლებებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემებისა და ინციდენტების შესახებ, რომლებიც ეხება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს, საწარმომ უნდა განიხილოს ნებისმიერი სამართლებრივი დავა, რომელიც დაკავშირებულია მიწის უფლებებთან და ***მკვიდრი მოსახლეობის ნებაყოფლობით, წინასწარ და ინფორმირებულ თანხმობასთან.***

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-2 – „ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედების პროცესები ზემოქმედებასთან დაკავშირებით“

გმ13. იმის ახსნა, როგორ ითვალისწინებს საწარმო და როგორ უზრუნველყოფს მკვიდრი მოსახლეობის ***ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის*** უფლების დაცვას, შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას იმ პროცესების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მკვიდრ მოსახლეობასთან კონსულტაციის გავლისთვის ამგვარი თანხმობის მისაღებად. საწარმომ უნდა განიხილოს, კონსულტაცია როგორ ითვალისწინებს ზემოქმედების ქვეშ მყოფ ***მკვიდრ მოსახლეობასთან*** კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებს მათი ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის მისაღებად იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ზემოქმედებს იმ მიწებზე, ტერიტორიებზე ან რესურსებზე, რომლებიც ტრადიციულად მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნის, მათ აქვთ დაკავებული ან სხვაგვარად იყენებენ, ან როდესაც საწარმო გადაასახლებს მათ იმ მიწებიდან ან ტერიტორიებიდან, რომლებიც ტრადიციულად მათ ეკუთვნით ან უკავიათ, ან ისინი იყენებენ, ანდა როდესაც საწრმო ზემოქმედებს მათ კულტურულ, ინტელექტუალურ, რელიგიურ და სულიერ საკუთრებაზე ან იყენებს მას.

გმ14. როდესაც საწარმო აღწერს, რომელ ფუნქციას ან როლს ეკისრება ოპერატიული პასუხისმგებლობა ან/და საბოლოო ანგარიშვალდებულება ასეთ ურთიერთქმედებაზე, მას შეუძლია მიუთითოს, ეს სპეციალური როლი ან ფუნქციაა, თუ უფრო ფართო როლის ან ფუნქციის ნაწილი, ასევე გატარდა თუ არა რაიმე ზომები ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთქმედების განსახორციელებლად პერსონალის აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით. თუ საწარმოს არ შეუძლია ასეთი თანამდებობის ან ფუნქციის იდენტიფიკაცია, მას შეუძლია გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი. ამ მოთხოვნის შესრულება შესაძლებელია ასევე იმ ინფორმაციის მითითებით, რომელიც საწარმოს გამჟღავნებული აქვს ESRS 2-ის GOV-1 ნაწილის – *„ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი“* – შესაბამისად.

გმ15. 20 (ბ) და (გ) პუნქტებში აღწერილი ინფორმაციის მომზადებისას შესაძლებელია შემდეგი მაგალითების გათვალისწინება:

ა) ურთიერთქმედება ხორციელდება შემდეგ ეტაპებზე: (i) ზხემოქმედების შერბილების მიდგომის განსაზღვრა და (ii) ზიანის შედეგების შერბილების ეფექტიანობის შეფასება;

ბ) ურთიერთქმედების ტიპის მიხედვით ეს შეიძლება იყოს მონაწილეობა, კონსულტაციები ან/და ინფორმაციის მიწოდება;

გ) ურთიერთქმედების სიხშირესთან დაკავშირებით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინფორ-მაცია იმის თაობაზე, ურთიერთქმედება რეგულარულად ხორციელდება, თუ პროექტის ან ბიზნესპროცესის გარკვეულ ეტაპებზე; და

დ) ოპერატიული პასუხისმგებლობის თანამდებობისთვის – საწარმო მოითხოვს თუ არა შესა-ბამისი პერსონალისაგან გარკვეულ უნარების ფლობას, ან უზრუნველყოფს თუ არა შესაბამისი პერსონალის ***ტრენინგს*** *(სწავლებას)* ან ამ ურთიერთქმედების განსახორციე-ლებლად აუცილებელი უნარების განვითარებას. მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების შემთხვევაში ეს მოიცავს მკვიდრი მოსახლეობის უფლებებთან, მათ შორის, მათი ნებაყოფლობითი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის უფლებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებას პერსო-ნალისთვის.

გმ16. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენა იქონია საწარმოს კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე ან საქმიანობაზე ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების*** მოსაზრებებმა, საწარმოს შეუძლია მაგალითების მოყვანა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდიდან.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება“

გმ17. ESRS S3-3 ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესრულებისას საწარმოს შეუძლია იხელმძღვანელოს „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინ-ციპებით” და „ეთგოს სახელმძღვანელო მითითებებით მულტინაციონალური საწამოების შესახებ“, რომლებიც ეხება ***რემედიაციას*** და ***საჩივრების მართვის მექანიზმებს.***

გმ18. პრობლემების ან საჭიროებების შესახებ ინფორმირების არხები მოიცავს ***საჩივრების მართვის მექანიზმებს,*** ცხელ ხაზებს, დიალოგის პროცესებს ან სხვა საშუალებებს, რომლის მეშვეობით ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებს*** ან მათ ***კანონიერ წარმომადგენლებს*** შეუძლიათ საწარმოსთვის ინფორმაციის მიწოდება მისი ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემების შესახებ ან თავიანთი საჭიროებების ახსნა, რომელთა მოგვარებაც სურთ საწარმოს მიერ. ამგვარი არხები შეიძ-ლება მოიცავდეს უშუალოდ საწარმოს მიერ შეთავაზებულ არხებს, ისე ნებისმიერ სხვა მექანიზმს, რომლის გამოყენება საწარმოს შეუძლია ინფორმაციის მოსაპოვებლად საზოგადოებრივ ჯგუფებზე თავისი ზემოქმედების მართვის შეფასების შესახებ, როგორიც არის, მაგალითად შესაბამისობის აუდიტის ჩატარება. თუ საწარმო ამ მოთხოვნის შესრულებისას მხოლოდ მისი ***საქმიანი ურთი-ერთობების*** ფარგლებში შექმნილი ამგვარი არხების არსებობის შესახებ ინფორმაციას ეყრდნობა, მას შეუძლია განაცხადოს ეს.

გმ19. იმისათვის, რომ უზრუნველყოს ESRS S3-3 მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის უფრო საფუძვლიანად გაგება, საწარმოს შეუძლია თითოეული არსებითი ზემოქმედების მიხედვით განმარტოს, მის მიერ შექმნილ ინფორმირების არხებზე რამდენად მიუწვდებათ ხელი იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებსაც შეიძლება შეეხოს საწარმოს ზემოქმედება. მიზანშეწონილია ინფორმაციის წარმოდგენა იმის თაობაზეც, ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფე-ბისთვის ამგვარი არხები თუ არის ხელმისაწვდომი მათთვის გასაგებ ენაზე, ასევე საწარმომ გაიარა თუ არა მათთან კონსულტაცია ამგვარი არხების შექმნისას.

გმ20. მესამე მხარეთა მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, მექანიზმებს, რომლებსაც მართავს სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები, დარგობრივი გაერთიანებები/ასოციაციები და სხვა ერთობლივი ინიციატივები. საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმის შესახებ, ეს არხები ხელმისაწვდომია თუ არა ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი*** ყველა ***საზოგადოებრივი ჯგუ-ფისთვის,*** რომელიც პოტენციურად ან ფაქტობრივად შეიძლება დაექვემდებაროს საწარმოს მხრიდან არსებით ზემოქმედებას, ან იმ პირებისა თუ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მათი სახელით მოქმედებენ, ან ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის, რომელსაც რაიმე სხვა მიზეზით ეკუთვნის, რომ ჰქონდეს ინფორმაცია საწარმოს უარყოფითი ზემოქმედებების შესახებ.

გმ21. რაც შეეხება შურისგების აქტისგან იმ პირთა დაცვას, რომლებიც ამ მექანიზმებს იყენებენ, საწარმოს შეუძლია მიუთითოს, საჩივრებს განიხილავს თუ არა კონფიდენციალურად და პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის უფლებების დაცვით; ასევე შესაძლებელია თუ არა ამ მექანიზმების ანონიმურად გამოყენება (მაგალითად, მესამე მხარის წარმომადგენლობის მეშვეობით).

გმ22. ***მკვიდრი მოსახლეობის რემედიაციასთან*** ან ***რემედიაციის*** ხელშეწყობასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმის თაობაზე, განიხილა და გაითვალისწინა თუ არა და როგორ მათი ჩვეულები, ტრადიციები, წესები და სამართლებრივი სისტემები.

გმ23. როდესაც საწარმო ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, იცის თუ არა მან და თუ იცის, როგორ შეიტყო, რომ ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის*** ცნობილია ზემოხ-სენებული არხების არსებობა და ისინი ენდობიან მათ, საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს რე-ლევანტური და სანდო მონაცემები ამ არხების ეფექტიანობის შესახებ, კერძოდ იმის თაობაზე, რამდენად შედეგიანად მიიჩნევენ ამ არხებს თავად ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები. ამგვარი მონაცემების წყარო შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ჯგუფების იმ წევრთა გამოკითხვები, რომლებმაც ასეთი არხები გამოიყენეს და ასევე მათი კმაყოფილების დონე ამ პროცესითა და მისი შედეგებით.

გმ24. იმ არხების ეფექტიანობის განხილვისას, რომლის მეშვეობით ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზო-გადოებრივ ჯგუფებს*** შეუძლიათ თავიანთი პრობლემების ინფორმირება, საწარმოს შეუძლია იხელმძღვანელოს შემდეგი კითხვებით, რომლებიც ეყრდნობა „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში", კერძოდ, 31-ე პრინციპში განსაზ-ღვრულ კრიტერიუმებს: „ეფექტიანობის კრიტერიუმები ***საჩივრების მართვის*** არასამართლებრივი მექანიზმებისთვის". შემდეგი კითხვების/მოსაზრებების გამოყენება შესაძლებელია ცალკეული არხის ან არხების მთელი სისტემის მიმართ:

ა) ეს არხები იმის გამო მიიჩნევა ლეგიტიმურად, რომ საწრმო უზრუნველყოფს ანგარიშ-ვალდებულებას საკუთარ კეთილსინდისიერ საქმიანობაზე და დაინტერესებულ მხარეთა ნდობის განმტკიცებას?

ბ) ეს არხები ცნობილი და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის?

გ) აქვს ამ არხებს ნათლად ჩამოყალიბებული და საჯაროდ ცნობილი პროცედურები, დადგენილი ვადები და უზრუნველყოფილია ამ პროცესების გამჭვირვალობა?

დ) ეს არხები უზრუნველყოფს გონივრულ წვდომას ინფორმაციის წყაროებთან, რეკომენ-დაციებსა და გამოცდილებასთან?

ე) ეს არხები გამჭვირვალობას იმით უზრუნველყოფს, რომ საკმარის ინფორმაციას აწვდის განმცხადებელს/მომჩივანს და, შესაბამის შემთხვევაში, იმავდროულად აკმაყოფილებს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ინტერესს?

ვ) ამ არხების მეშვეობით მიღწეული შედეგები შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს?

ზ) ამ არხების მეშვეობით საწარმო იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას მუდმივად ეხმარება როგორც არხების მუშაობის გაუმჯობესებაში, ისე მომავალი ზემოქმედების პრევენციაში?

თ) საწარმო განმცხადებლებთან დიალოგს ანიჭებს უფრო უპირატესობას, როგორც შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, თუ შედეგის ცალმხრივად განსაზღვრას ესწრაფვის?

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-4 – „ზომების მიღება ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე ამ ჯგუფებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

გმ25. შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს უარყოფითი ზემოქმედებისა და იმის გაცნობიერებას, როგორ შეიძლება საწარმო იყოს ამ ზემოქმედების მონაწილე თავისი ღირებულებათა ჯაჭვის მეშვეობით, ასევე შესაბამისი საპასუხო ზომების განსაზღვრას და ცხოვრებაში გატარებას. ამგვარად, საწარმომ უნდა განიხილოს:

ა) საერთო და სპეციფიკური მიდგომები, რომლებიც ეხება არსებითი უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას;

ბ) თავისი სოციალური ინვესტიცია ან ***განვითარებაზე*** ორიენტირებული სხვა პროგრამები, რომლებიც მიმართულია დამატებითი დადებითი არსებითი ზემოქმედების ხელშეწყობაზე;

გ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რამდენად წაიწია წინ ამ კუთხით განხორციელებულ საქმიანობაში; და

დ) უწყვეტ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მისი მიზნები.

გმ26. შესაფერისი ქმედება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს იმის მიხედვით, თვითონ საწარმო იწვევს არსებით ზემოქმედებას, თუ ხელს უწყობს ამგვარ ზემოქმედებას, ან არსებითი ზემოქმედება უშუალოდ დაკავშირებულია თუ არა თავად საწარმოს საქმიანობასთან, პროდუქციასთან ან მომსახურებასთან მისი საქმიანი ურთიერთობის მეშვეობით.

გმ27. იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** განხორციელებული უარყოფითი არსებითი ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ასევე ისეთ სუბიექტებთან ან საქმიანობასთან, რომელსაც საწარმო უშუალოდ ვერ აკონტროლებს, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმის თაობაზე, ცდილობს თუ არა ის და როგორ თავისი ზემოქმედების შესაძლებლობის გამოყენებას ***საქმიან ურთიერთობებში*** ამ ზემოქმედების მართვისთვის. ეს შეიძლება იყოს კომერციული ***ბერკეტი*** (მაგალითად, სახელშეკრულებო მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა საქმიან ურთიერთობებში ან გარკვეული მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვა), სხვა ფორმის ზემოქმედების შესაძლებლობა ამ ურთიერთობის ფარგლებში (როგორიც არის, მაგალითად, იმ სუბიექტების მომუშავეთა ***ტრენინგის*** უზრუნველყოფა ან მათი ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარება მკვიდრი მოსახლეობის უფლებების სფეროში, რომელთანაც საწარმოს აქვს საქმიანი ურთიერთობა), ან ერთობლივი ზემოქმედების მექანიზმები ანალოგიური საწარმოების ან სხვა სუბიექტების მონაწილეობით (მაგალითად, ინიციატივები, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი ჯგუფების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებაზე, ან მონაწილეობის მიღება „კომპანია–საზოგადოება“ თანამშრომლობის პროგრამებში).

გმ28. საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებით, რის შესახებაც ინფორმაცია მჟღავნდება ESRS E1 – E5-ების შესაბამისად. მაგალითად:

ა) ESRS E1 – *„კლიმატის ცვლილება“*: ***კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების*** გეგმების განსახორციელებლად საწარმოს შესაძლოა ინვესტიციების ჩადება დასჭირდეს ***განახლებადი***

ენერგიების პროექტებში, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ***მკვიდრი მოსახლეობის*** მიწებზე, ტერიტორიებსა და ***ბუნებრივ რესურსებზე.*** თუ საწარმო კონსულტაციას არ გადის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მკვიდრ მოსახლეობასთან, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების წევრთა უფლებაზე, რომელიც ეხება ***ნებაყოფლობით, წინასწარ და ინფორმირებულ თანხმობას;***

ბ) ESRS E2 – „*დაბინძურება*“: საწარმო ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** შესაძლოა უარყოფითად ზემოქმედებდეს იმით, რომ არ იცავდეს მათ ამა თუ იმ საწარმოო მოწყობილობით წარმოქმნილი ***დაბინძურებისგან***, რაც მათ ჯანმრთელობას პრობლემებს უქმნის;

გ) ESRS E3 – *„წყალი და წყალქვეშა რესურსები“:* საწარმო შესაძლოა უარყოფით ზემოქმედებას ახდენდეს სუფთა სასმელ წყალთან საზოგადოებრივი ჯგუფების წვდომაზე, როდესაც წყალაღება ხორციელდება წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე რეგიონებში;

დ) ESRS E4 – *„ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები*“: საწარმო შესაძლოა უარყოფით ზემოქმედებას ახდენდეს ადგილობრივი ფერმერების საარსებო საშუალებებზე ისეთი საქმიანობით, რომელიც ***ნიადაგს*** აბინძურებს. სხვა მაგალითებია: ნიადაგის დაბლოკვა ახალი ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რასაც შეუძლია მცენარეების ისეთი სახეობების განადგურება, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი ***ბიომრავალფეროვნებისთვის,*** ან საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის, მაგალითად იმის გამო, რომ წყალს ასუფთავებენ, ანდა ისეთი ინვაზიურიისეთი ***ინვაზიური სახეობების*** (მცენარეების ან ცხოველების) შემოყვანა/შემოტანა, რომელთაც შეუძლია ეკოსისტემებზე ზემოქმედება და შემდგომში მათთვის ზიანის მიყენება;

ე) ESRS E5 – *„რესურსების გამოყენება და ცირკულარული ეკონომიკა*“: საწარმო შესაძლოა უარყოფით ზემოქმედებას ახდენდეს საზოგადოებრივი ჯგუფების წევრთა ცხოვრებაზე, კერძოდ, ზემოქმედებდეს მათ ჯანმრთელობაზე ***სახიფათო ნარჩენების*** არასწორი მართვის გამო.

თუ საწარმოს გარემოსა და ადგილობრივ საზოგადოებრივი ჯგუფებზე ზემოქმედებას შორის კავშირი განხილული აქვს ESRS E1 – E5 ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების ფარგლებში, მას შეუძლია განაცხადოს ამის შესახებ და ზუსტად მიუთითოს, სად არის განხილული ეს ინფორმაცია.

გმ29. თუ საწარმო, არსებითი უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრასთან დაკავშირებული თავისი ***ქმედებების*** ამსახველი ინფორმაციის ფარგლებში, აღწერს ამა თუ იმ დარგის ან მრავალმხრივ ინიციატივაში თავის მონაწიეობას, მას შეუძლია მიუთითოს, ეს ინიციატივა და კონკრეტულად მისი მონაწილეობა როგორ უწყობს ხელს შესაბამისი არსებითი ზემოქმედების შემცირებას/აღმოფხვრას. საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება ESRS S3-5 მოთხოვნების შესაბამისად ამ ინიციატივის მიერ დადგენილი ***სამიზნე მაჩვენებლებისა*** და მათ შესრულებაში მიღწეული საკუთარი პროგრესის შესახებ.

გმ30. როდესაც საწარმო ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, ითვალისწინებს თუ არა და როგორ ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** ფაქტობრივ და პოტენციურ ზემოქმედებას ***საქმიანი ურთიერთობების*** შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ასევე ცდილობს თუ არა და როგორ ამა თუ იმ უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას, რომელიც ურთიერთობის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს, საწარმოს შეუძლია მაგალითების მოყვანა.

გმ31. როდესაც საწარმო აღწერს, როგორ ადევნებს თვალყურს იმ ***ქმედებების*** ეფექტიანობას, რომლებიც მიმართულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არსებითი ზემოქმედების მართვაზე, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი გაკვეთილის შესახებ, რომელიც გამოიტანა წინა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდებიდან.

გმ32. ზემოაღნიშნული ***ქმედებების*** ეფექტიანობის მონიტორინგისთვის გამოყენებული პროცესები შეიძლება მოიცავდეს შიდა ან გარე აუდიტს, ან შემოწმებას, სასამართლო პროცესს ან/და სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ზემოქმედების შეფასებას, შეფასების სისტემებს, დაინტერესებული

მხარეებისგან მიღებულ კომენტარებს, ***საჩივრების მართვის მექანიზმებს***, ეფექტიანობის გარე რეიტინგებს და შედარებითი ანალიზის ჩატარებას.

გმ33. ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საწარმოს მიერ განხორციელებულ ***ქმედებებსა*** და მისი ზემოქმედების ეფექტიან მართვას შორის ურთიერთკავშირის შესახებ.

გმ34. ისეთი ინიციატივების ან პროცესების შესახებ, რომელთა ძირითადი მიზანია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე დადებითი ზემოქმედების უზრუნველყოფა მათი საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე ამგვარი ინიციატივების ან პროცესების განხორციელებისას მიღწეულ საკუთარ პროგრესთან დაკავშირებით, საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები*** და ***მათი კანონიერი წარმომადგენლები,*** ან ***მათი ნდობით აღჭურვილი პირები*** რა როლს თამაშობენ ამ ინვესტიციების განხორციელების ან პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში;

ბ) აღნიშნული ინვესტიციების ან პროგრამების სავარაუდო ან უკვე მიღწეული დადებითი შედეგები ***ზემოქმედების მყოფი*** შესაბამისი ***საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის;***

გ) ახსნას, აღწერილი სოციალური ინვესტიცია ან ***განვითარების*** პროგრამები ***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების*** რა ნაწილს ეხება დაახლოებით და, შესაბამის შემთხვევაში, დაასაბუთოს, რატომ შეარჩიეს ეს კონკრეტული ჯგუფები მოცემული სოციალური ინვესტიციის ან განვითარების პროგრამის განსახორციელებლად.

გმ35. საწარმოს შეუძლია განმარტოს, მისი რომელიმე ინიციატივა ან პროცესი, რომლის ძირითადი მიზანია ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** დადებითი ზემოქმედების უზრუნველყოფა, იმავდროულად თუ ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზნის (ან მიზნების) (SDGs) შესრულებას. მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას უფლებებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება“ – რეალიზების ვალდებულების ფარგლებში საწარმოს შეუძლია ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან კონსულტაციებში ჩართოს ქალები, ***დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი ურთიერთქმედების*** სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად. ეს ხელს შეუწყობს ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას უშუალოდ კონსულტაციების პროცესში და პოტენციურად – მათ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

გმ36. ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** დაკავშირებული საწარმოს ***ქმედებების*** დაგეგმილი ან უკვე მიღწეული დადებითი შედეგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს უკვე განხორციელებული გარკვეული ქმედებების შესახებ მტკიცებულებები (მაგ., ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფებიდან X ქალმა გაიარა ***ტრენინგი*** იმის თაობაზე, როგორ უნდა გახდეს ადგილობრივი ***მომწოდებელი*** მოცემული საწარმოსთვის) და ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის უკვე მიღწეული ფაქტობრივი შედეგების მტკიცებულებები (მაგალითად, ამ საზოგადოებრივი ჯგუფებიდან X ქალმა დააფუძნა მცირე საწარმო და საწარმოსთან დადებული მათი ხელშეკრულებების განახლება ხდებოდა ყოველწლიურად).

გმ37. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, ეს ინიციატივები ან პროცესები იმავდროულად რაიმე როლს თამაშობს თუ არა არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შერბილების საქმეშიც, საწარმოს შეუძლია განიხილოს, მაგალითად, პროგრამები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე საწარმოს საქმიანობის ადგილების შემოგარენში, როგორიც არის, მაგალითად, გზების გაუმჯობესება, რაც იწვევს საზოგადოებრივი ჯგუფების წევრთა მძიმე საგზაო ინციდენტების რიცხვის შემცირებას.

გმ38. ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს ზემოქმედებასთან ან ***დამოკიდებულებასთან*** დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა მოიცავდეს რეპუტაციულ ან სამართლებრივ რისკს, ასევე საოპერაციო რისკებს, როდესაც ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები აპროტესტებენ განსახლებას ან მიწაზე წვდომის უფლების დაკარგვას, რასაც მოჰყვება ძვირად ღირებული შეფერხებები, ბოიკოტირება ან სასამართლო სარჩელები;

ბ) ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა მოიცავდეს საწარმოს საქმიანი ოპერაციების ჩაშლას, როდესაც ***მკვიდრი მოსახლეობა*** გადაწყვეტს მათ მიწებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ პროექტზე თავისი თანხმობის გაუქმებას და საწარმოს მოუწევს პროექტის მნიშვნელოვნად შეცვლა ან პროექტზე უარი თქმა;

გ) ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს ზემოქმედებასთან დაკავშირებული ბიზნესის შესაძლებლობები შესაძლოა მოიცავდეს პროექტების დაფინანსების უფრო ადვილად მოპოვებას და იმის შესაძლებლობას, რომ საწარმო გახდეს საზოგადოებრივი ჯგუფების, მთავრობების ან სხვა საწარმოთა საუკეთესო პარტნიორი; და

დ) ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებზე*** საწარმოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებული ბიზნესის შესაძლებლობები შესაძლოა მოიცავდეს საწარმოსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რაც არსებული პროექტების გაფართოების საშუალებას იძლევა ძლიერი მხარდაჭერის პირობებში.

გმ39. გმ41 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნებისას საწარმოს შეუძლია ახსნას ის რისკები და შესაძლებლობები, რომლებიც გამოწვეულია გარემოზე მისი ზემოქმედებით ან ***დამოკიდებულებით*** (დამატებითი ინფორმაციის გასაცნობად გთხოვთ იხილოთ გმ31 პუნქტი), მათ შორის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული (ან სოციალური) შედეგები. ამგვარი რისკების მაგალითებია რეპუტაციული რისკები, რომლებიც გამოწვეულია საზოგადოებრივი ჯგუფების ჯანმრთელობაზე არაკონტროლირებული დამაბინძურებელი ***ჩამონადენი წყლის*** ზემოქმედებით, ან ზემოქმედებს ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების საპროტესტო აქციებით გამოწვეული ***ფინანსური შედეგები,*** რამაც შესაძლოა შეაფერხოს საწარმოს საქმიანობა ან გამოიწვიოს მისი საქმიანობის შეწყვეტა, მაგალითად, წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ტერიტორიაზე განხორციელებული საწარმოს საქმიანობის საპასუხო პროტესტი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების სიცოცხლეზე.

გმ40. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, მისი დამოკიდებულება გადაიქცევა თუ არა რისკებად, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს გარე მოვლენები.

გმ41. არსებითი ***რისკებისა*** და ***შესაძლებლობების*** მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, ***ქმედებების,*** რესურსებისა და ***სამიზნე მაჩვენებლების*** შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას ისეთ შემთხვევაში, როდესაც რისკები და შესაძლებლობები წარმოქმნილია საწარმოს არსებითი ***ზემოქმედებით,*** საწარმოს შეუძლია მიუთითოს ამ ზემოქმედებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, ქმედებების, რესურსებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ უკვე გამჟღავნებული ინფორმაცია.

გმ41. არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, ქმედებების, რესურსებისა და ***სამიზნე მაჩვენებლების*** შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, თუ ეს რისკები და შესაძლებლობები არსებითი ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება, საწარმოს შეუძლია მიუთითოს ამ ზემოქმედებასთან დაკავშირებით უკვე გამჟღავნებული ინფორმაცია პოლიტიკის, ქმედებების, რესურსებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ

გმ42. საწარმომ უნდა განიხილოს, ***ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებრივ ჯგუფებთან*** დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისთვის განკუთვნილი პროცესები ინტეგრირებულია თუ არა და როგორ საწარმოში არსებულ რისკების მართვის პროცესებში.

გმ43. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს არსებითი ზემოქმედების მართვისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ, საწარმოს შეუძლია მიუთითოს, რომელი შიდა ფუნქციები/დანაყოფებია ჩართული ამ ზემოქმედების მართვაში და რა ტიპის ზომებს იღებენ უარყოფითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად და დადებითი ზემოქმედების გასაუმჯობესებლად.

<u>მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები</u>

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S3-5 – „ არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართვასთან, დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესებასა და არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

გმ44. როდესაც საწარმო ინფორმაციას ამჟღავნებს ***სამიზნე მაჩვენებლების*** შესახებ 38-ე პუნქტის შესაბამისად, მას შეუძლია აღწეროს:

ა) სავარაუდო შედეგები, შეძლებისდაგვარად კონკრეტულად, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების ცხოვრებაში;

ბ) ***სამიზნე მაჩვენებლების*** სტაბილურობა დინამიკაში, განმარტებებისა და მეთოდოლოგიების ჭრილში, რაც უზრუნველყოფს მათ შესადარისობას;

გ) სტანდარტები ან ვალდებულებები, რომლებსაც ეს სამიზნე მაჩვენებლები ეყრდნობა (მაგალითად, ეთიკის კოდექსი, შესყიდვების პოლიტიკა, გლობალური ჩარჩო-დოკუმენტები ან დარგების კოდექსები).

გმ45. არსებით ***რისკებსა*** და ***შესაძლებლობებთან*** დაკავშირებული ***სამიზნე მაჩვენებლები*** შესაძლოა ემთხვეოდეს ან განსხვავდებოდეს არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლებისგან. მაგალითად, სამიზნე მაჩვენებელმა – „***ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების*** საარსებო საშუალებების სრულად აღდგენა განსახლების შემდეგ“ – შეიძლება შეამციროს ამ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზემოქმედება და ასევე შეამციროს დაკავშირებული რისკებიც, როგორიც არის, მაგალითად საზოგადოებრივი ჯგუფების საპროტესტო აქციები.

გმ46. საწარმოს შეუძლია ასევე ცალ-ცალკე გამოყოს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ***სამიზნე მაჩვენებლები,*** რომლებიც ***პოლიტიკის*** ერთსა და იმავე ვალდებულებას ეხება. მაგალითად, საწარმოს შეიძლება ჰქონდეს მთავარი მიზანი: „საზოგადოებრივი ჯგუფების მოსახლეობის დასაქმება ადგილობრივ სამთო-მოპოვებით ობიექტზე“, გრძელვადიანი სამიზნე მაჩვენებელი – „2025 წლისთვის პერსონალის დაკომპლექტება 100%-ით ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფების მოსახლეობით“ და ასევე მოკლევადიანი სამიზნე მაჩვენებელი – „2025 წლამდე ყოველწლიურად x პროცენტი ადგილობრივი ***დასაქმებულის*** დამატება“.

გმ47. თუ საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეცვალა ან სხვა მაჩვენებლით ჩაანაცვლა რომელიმე ***სამიზნე მაჩვენებელი***, მას ამ ცვლილების ასახსნელად შეუძლია მიუთითოს, ანგარიშგებაში სად არის განხილული ***ბიზნესმოდელის*** მნიშვნელოვანი ცვლილებები, ან ახლად ამოქმედებული სტანდარტით ან კანონმდებლობით განპირობებული უფრო ფართო ცვლილებები, საიდანაც საწარმომ აიღო სამიზნე მაჩვენებელი, რათა წარმოადგინოს კონტექსტური ინფორმაცია ESRS 2-ის BP-2 ნაწილის – *„კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება“* – შესაბამისად.